პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 154 (9314)

სამშაბათი

1

ივლისი

1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

განვავითაროთ შინაპარტიული დემოკრატია — „პრავდის“ 30-VI მოწინავე (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).

მოსავლის აღება (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება—როცა პასუხისმგებლობის გრძნობა მაღალია (მე-2 გვერდი).

ზოგიერთი შენიშვნა საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე (მე-2 გვერდი).

საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში (მე-2 გვერდი).

ერთი მოუგვარებელი საკითხის გამო (მე-3 გვერდი).

პურეულის მოსავალს უფრო ადრე [illegible] ღებთ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

განვავითაროთ შინაპარტიული დემოკრატია

★

„პრავდის“ 30/VI მოწინავე

★

ბოლშევიკური პარტია მებრძოლი, აქტიურად მოაზროვნე, თვითმოქმედი ორგანიზაციაა, რომელიც ცოცხალი ცხოვრებით ცხოვრობს. თავის მუშაობაში იგი ხელმძღვანელობს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი თეორიით. ჩვენი პარტია ძლიერია თავისი წევრების, თავისი ორგანიზაციების აქტივობით. პარტიული ორგანიზაციების მრავალფეროვანი მუშობა ემყარება შინაპარტიული დემოკრატიის, როგორც პარტიული მასების აქტივობისა და თვითმოქმედების გაძლიერების, პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულო შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საშუალების ყოველი ღონისძიებით განვითარებასა და უზრუნველყოფას.

შინაპარტიულ დემოკრატიად იგულისხმება, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, **თავისუფლება პარტიული მასებისათვის — გადაწყვიტონ ჩვენი მშენებლობის საკითხები, პარტიული მასების აქტივობის აღმავლობა, პარტიისადმი ხელმძღვანელობის საქმეში მათი ჩაბმა, მათთვის იმ გრძნობის განვითარება, რომ ისინი ბატონპატრონი არიან პარტიაში.**

ჩვენს პარტიაში შინაპარტიული დემოკრატია განუწყვეტლივ იზრდება და ვითარდება. შინაპარტიული დემოკრატიის თანმიმდევრული განხორციელება განამტკიცებს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, ხელს უწყობს პარტიული მასების აქტივიზაციას, ქმნის მთლიანად პარტიისა და თვითეული კომუნისტის მიერ მასებში ავანგარდული როლის განხორციელების უმნიშვნელოვანეს პირობებს და, მაშასადამე, ხელს უწყობს ახალ წარმატებათა მიღწევას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის განუწყვეტლივ ამაღლებას, შინაპარტიული დემოკრატიის, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ გაჩაღებას, პარტიის გადაწყვეტილებათა და მითითებათა განხორციელებისათვის აქტიურ მუშაობაში ყველა კომუნისტის ჩაბმას.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1923 წელს ამბობდა, რომ საჭიროა პარტიული მასების განსახილველად დავაყენოთ ყველა ის საკითხი, რომელიც მათ აინტერესებთ, და ამით უზრუნველვყოთ თავისუფალი კრიტიკის შესაძლებლობა. „**ვინაიდან მხოლოდ ამ გზით,** — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — **შევძლებთ გადავაქციოთ პარტიული დისციპლინა ნამდვილად შეგნებულ, ნამდვილად რკინისებურ დისციპლინად, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ავამაღლოთ პარტიული მასების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული გამოცდილება, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მოვამზადოთ იმის აუცილებელი პირობები, რომ პარტიული მასები თანდათან აწინაურებდნენ ახალ აქტიურ მუშაკებს, ახალ ხელმძღვანელებს ქვედაფენებიდან“.**

ხელმძღვანელობენ რა ამხანაგ სტალინის მითითებებით, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ისე აგებენ ყოველდღიურ მუშაობას, რომ ფართოდ აბამენ პარტიულ მასებს პარტიული ცხოვრების ყველა საკითხის აქტიურ განხილვასა და გადაწყვეტაში. ამ საფუძველზე მაღლდება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დონე.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში არის შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევა. როგორც ამას წინათ „პრავდა“ იუწყებოდა, პარტიის კიროვოგრადის საოლქო კომიტეტის მდივნები კადრებთან ალმზრდელობით მუშაობას ხშირად ცვლიდნენ ადმინისტრირებით. აქ ირღვეოდა მუშაობაში კოლეგიალობის პრინციპები. საოლქო კომიტეტის მუშაკები ყურს არ უგდებდნენ კრიტიკას ქვემოდან, მათ შეასუსტეს კავშირი პარტიულ მასებთან, რასაც არ შეეძლო გაევლენა არ მოეხდინა საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონეზე. მუშაობის პრაქტიკაში ასეთ ნაკლოვანებებს სამართლიანად აკრიტიკებენ პარტიული მასები.

ახლა მთელ რიგ ადგილებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები, აგრეთვე რაიონული პარტიული კონფერენციები. ისინი მოწმობენ კომუნისტების გაზრდილ პოლიტიკურ აქტივობას, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი პარტიული მასების მომთხოვნელობის გადიდებას. პარტიული კრებები და კონფერენციები მიმდინარეობს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. ამას, კერძოდ, მოწმობს დღეს გამოქვეყნებული კორესპონდენცია ბაქოდან ტრესტ „ორჯონიკიძენავთის“ მეოთხე სარეწის საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრების შესახებ. ნავთის მუშაკებმა—კომუნისტებმა თავიანთ კრებაზე შეაჯამეს მუშაობის შედეგები და ძირითადი ყურადღება მიაქციეს ნაკლოვანებათა კრიტიკას, პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ მორიგ ამოცანებს.

სვერდლოვსკის ოლქის კუშვის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატები რაიკომს აკრიტიკებდნენ პარტიული დემოკრატიის დარღვევისათვის. წელს რაიკომს პარტიული აქტივის არც ერთი კრება არ მოუწვევია, ირღვეოდა რაიკომის პლენუმის მოწვევის ვადები. რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში არარეგულარულად, ძალიან იშვიათად იწვევენ პარტიულ კრებებს. რაიონში სუსტად არის განვითარებული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

კომუნისტების აქტივიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიულ კრებებს, რომლებიც ბოლშევიკური აღზრდის სკოლას წარმოადგენენ. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საერთო კრებების რეგულარულ მოწვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შინაპარტიული დემოკრატიის თანმიმდევრულ განხორციელებაში. კოლექტიურად განიხილავენ რა პარტორგანიზაციის წინაშე მდგომ ამოცანებს და აქტიურად მონაწილეობენ რა პარტიულ კრებებში, კომუნისტები ებმიებიან მთელი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, ღრმად იგნებენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობას.

თვითეული პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ აქტიურ მუშაობაში ჩაებას ყველა კომუნისტი, სწორად გაანაწილოს პარტიული დავალებები, კონტროლი გაუწიოს მათს შესრულებას, ასწავლოს კომუნისტებს პრაქტიკულ მუშაობაში, გამოაწრთოს ისინი სიძნელეებთან ბრძოლაში, აღზარდოს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უაღრესად ზუსტად დაცვის სულისკვეთებით.

შინაპარტიული დემოკრატია გულისხმობს კოლეგიალობას მუშაობაში. კოლეგიალობა გამოიხატება როგორც გადაწყვეტილებათა ერთობლივი გამომუშავებით, ისე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მასების დასაზმავად ერთობლივი მუშაობით. პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული კომიტეტების პლენუმების, პარტიული აქტივის კრებების რეგულარულ მოწვევას პარტიული ორგანიზაციის მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად. ზოგიერთი ორგანიზაცია კი პარტიული კომიტეტების პლენუმების მოწვევის ვადებს არ იცავს. მაგალითად, მოლდავეთის მთელ რიგ რაიონებში რაიკომების პლენუმებს რეგულარულად არ იწვევენ.

შინაპარტიული დემოკრატიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღება. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: იმისათვის, რომ მუშათა და გლეხთა მილიონნიანი მასები დავრაზმოთ ქვევიდან კრიტიკის საქმისათვის, **„საჭიროა გავმაღოთ პროლეტარული დემოკრატია მუშათა კლასის ყველა მასობრივ ორგანიზაციაში და უწინარეს ყოვლისა თვით პარტიის შიგნით. ეს პირობა თუ არ იქნა დაცული, თვითკრიტიკა ნულია, ცარიელი ფრაზაა“.**

კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოადგენს ჩვენი განვითარების კანონს, ყოველგვარი რუტინისა და დახავსებულობის, ყოველივე იმ ძველის, მომაკვდავის გადალახვის გადამწყვეტ საშუალებას, რაც კი ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას.

მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შეიძლება გაჩაღდეს ბოლშევიკური თვითკრიტიკა და განმტკიცდეს პარტიული დისციპლინა, რომელიც შეგნებული უნდა იყოს და არა მექანიკური.

პარტიულმა მუშაკებმა უნდა გვიჩვენონ ჩვენი პარტიის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ მიმართული კრიტიკისაღმი ბოლშევიკური დამოკიდებულების მაგალითი. ვინც კრიტიკას ახშობს, ვინც კრიტიკისათვის დევნის, ის ბიუროკრატია, ის პარტიის უბოროტესი მტერია.

შინაპარტიული დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებაში ფასდაუდებელია როლი ბოლშევიკური პრესისა, რომელიც ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი, ყველაზე ძლიერი იარაღია. პარტიულმა ორგანოებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ პრესა პარტიული მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების, შინაპარტიული დემოკრატიის თანმიმდევრული განხორციელების საუკეთესო ნიმუშების ჩვენების, პარტიული მასების აქტივობის გაძლიერების საქმეში.

შინაპარტიული დემოკრატია უზრუნველყოფს პარტიული მასების შემოქმედებითი ინიციატივის განუწყვეტლივ აღმავლობას, უვითარებს თვითეულ კომუნისტს დავალებული საქმისათვის, პარტიული ორგანიზაციის მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება განამტკიცებს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, ამაღლებს მათს როლს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 28 ივნისს თბილისში შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ვ. დ. ბუჯიაშვილის** მოხსენება „საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ა. ა. გიგოშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი), **შ. დ. გეთია** (საქართველოს კ. პ. (ბ) ოფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), **შ. ა. ხიტირი** (საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი), **პ. კ. ცაგარეიშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივანი), **ნ. მ. რუხაძე, მ. ბ. ნარსია** (საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი), **რ. ა. კვირაველია** (საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრი), **შ. ი. ჭანუყვაძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი), **გ. პ. ზედგინიძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი), **ა. გ. გობრონიძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი), **შ. ო. წერეთელი, მ. უ. ლომიძე** (საქართველოს სსრ პროკურორი), **დ. გ. ხანთაძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი), **გ. ს. კიკნაძე** (ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი), **ლ. ა. რუხაძე** (ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე), **ვ. მ. ბაქრაძე** (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), **მ. ა. გრიგოლია** (რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსი), **ა. გ. იმნაძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი).

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. ა. ი. მგელაძე.**

პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

განხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან გამოიყვანა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი ამხ. ნ. მ. რუხაძე და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად დაამტკიცა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ამხ. **ა. ი. კოპლავაშვილი.**

მოსავლის აღება

პირველ დღეებში

ლაგოდეხი. (ტელეფონით, საკ. კორ.). ფართოდ გაჩაღდა მოსავლის აღება. სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. ნატროშვილი) წელს კარგ მოსავალს იღებენ. აქ 670 ჰექტარი ხორბლის ნათესი აქვთ. პირველ ორ დღეში მომკილია 76 ჰექტარი.

ოსოსავლის აღებაში მოწინავეა მერვე ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ი. ნატროშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში 28 და 29 ივნისს კომბაინერმა ა. მიხაშვილმა აიღო 11 ჰექტარი. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 20 ცენტნერი ხორბალი.

კოლმეურნეებმა ა. გოშაძემ, ნ. ქუთაშვილმა, ს. ქუფარაშვილმა, მ. გოშაძემ უკვე გაამზადეს ათი ტონა მარცვლეული სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

ლაგოდეხის მტს-მა სამ დღეში მომკა 345 ჰექტარი. მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპი დღითიდღე ძლიერდება.

შეჯიბრების ძაღლ

სიღნაღი. (საკ. კორ.). წნორის მტს-ის 21 კომბაინი შეუდგა პურის აღებას. სამ დღეში აღებულია 200 ჰექტარზე მეტი პურეული. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში გიორგი ფხოველაშვილის ბრიგადაში კომბაინერმა სოლომონ ნარინდოშვილმა 50 ჰექტარი ქერი და პური აიღო. ამ ბრიგადის 30 ჰექტარ ფართობზე მიღებულია 16 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა.

სოლომონ ნარინდოშვილის აგრეგატს ეჯიბრება კომბაინერ ნიკოლოზ ალადაშვილის აგრეგატი. მათ გადაწყვეტილი აქვთ თვითეულმა მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 400 ჰექტარზე. კარგად მუშაობს კომბაინერი უშანგი გურაშვილი, რომელიც სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მან 26 და 27 ივნისს მოსავალი 30 ჰექტარზე აიღო და თვითეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით ორი ცენტნერი პური მიიღო.

ტიბაანის მტს-ის კომბაინერებმა 12 კომბაინით ექვს დღეში 300-მდე ჰექტარი პურეული აიღეს. კომბაინერი გიორგი ხატიაშვილი სოფელ ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადაში, რომელსაც გიორგი გურაშვილი ხელმძღვანელობს, დღეში 16-18 ჰექტარზე იღებს მოსავალს ნაცვლად გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. აქ თვითეულ ჰექტარზე მიღებული პურეული 7-8 ცენტნერით აღემატება გასული წლის მოსავალს.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში რკინიგზელის სტალინური დღის შეხვედრისადმი მიძღვნილი შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა სატვირთო-სავაგონო საამქროს კოლექტივი, რომელმაც გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

საამქროში შექმნილია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ლიუბლინელი სტანახოველების ჟანდაროვასა და აგაფონოვას მეთოდით მუშაობენ. ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ავგრეთვე მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდების ინიციატივამ, რომელიც თვითეულ ნაკეთობაზე ლითონის ეკონომიას შეეხება.

საამქროში რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად გაშლილ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ზეინკლების ი. გუგუტიშვილის და გ. დათუაშვილის ბრიგადებმა. მათ ერთ დეკადაში შეასრულეს თვიური გეგმები. ზეინკალი ა. ანტონოვი, მხურავი გ. ქსოვრელი, მღებავები უ. ლორთქიფანიძე და ვ. ვარდანაშვილი დღიურ ნორმებს 250-300 პროცენტით ანაღდებენ. მექვაბე გ. ბრეკნევემ საქვაბე სამუშაოთა თვიური ნორმა 2 დეკადაში განახორციელა. დურგალ გ. საპონჟიანის ბრიგადა დღეში ორ ნორმას იძლევა.

სატვირთო-სავაგონო საამქროს კოლექტივი, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა ქარხანაში, იმისათვის იბრძვის, რომ რკინიგზელის სტალინურ დღეს 8 თვის საწარმოო დავალების შესრულებით შეხვდეს.

ი. ბოლქვაძე.

საქარხნო გაზეთის „ჩვენი საყვირის“ რედაქტორი.

ჭიათურელი რკინიგზელები თავდადებულად მუშაობენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად თავდადებულად შრომობენ ჭიათურელი რკინიგზელები. სადგურის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცისა და სხვა ტვირთების გაგზავნის და ვაგონების გადმოტვირთვის ხუთი თვის გეგმები. აქ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ავგრეთვე ივნისის პირველი ნახევრის დავალებანი, მინიმუმამდე შეამცირეს მოცდენა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ორთქლმავლის მემანქანეები ს. გრიგალაშვილი და ვ. აბესაძე, რომლებიც გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებენ და საწვავსაც ზოგავენ.

მატარებლის შემდგენლები ბ. კაპანაძე, ძმები კალენიკე და ივანე ბიწაძეები, უფროსი მეისრეები ს. ტყემალაძე, ბ. მჭედლიძე, მამა-შვილი ეზეკი და იაკობ ჩაფიძეები, გ. ბიწაძე, გ. ჭუმბურიძე, ვლადიმერ და ალექსანდრე კაპანაძეები დღიურ დავალებებს 150-170 პროცენტით ასრულებენ.

შეუფერხებლად მივაწოდოთ მშობლიურ მეტალურგიას მეტი მარგანეცი — ასეთი ლოზუნგით მუშაობენ ახლა ჭიათურელი რკინიგზელები.

იაკუტიის ასსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია

იაკუტსკი, 28 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა იაკუტიის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც მიეძღვნა იაკუტიის ასსრ შექმნის 30 წლისთავს.

ტაშის გრიალში სესიის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება „იაკუტიის ასსრ ოცდაათი წელი“ გააკეთა იაკუტიის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ა. პროტოდიაკონოვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით იაკუტიის მშრომელებმა რესპუბლიკის არსებობის 30 წლის მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები მრავალფეროვან პროდუქციას უშვებენ. ათობით კოლმეურნეობა იღებს მარცვლეულის ასფუთიან მოსავალს. მინდვრებში იყენებენ საბჭოთა მანქანებს, რომელთა საშუალებით მექანიზებულია შრომატევადი სამუშაოები.

იაკუტიაში შეიქმნა საკუთარი ეროვნული ინტელიგენცია. განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება.

საიუბილეო სესიის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

... ევალურგიული ციკლით

მაგნიტოგორსკი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს სტალინის სახელობის მეტალურგიულმა კომბინატმა მთელი მეტალურგიული ციკლით დაამთავრა ნახევარი წლის გეგმა. შესრულეს რა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილი წერილით ნაკისრი ვალდებულებანი, მაგნიტოგორსკელებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის ხარისხი, შეამცირეს საწარმოო დანაკარგები ლითონის დნობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულება.

სტალინგრადისა და კუიბიშევის ზღვების კაღაპოტის მომზადება

რუსეთის სფსრ ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტრო შეადგა ტყისა და ბუჩქნარის გაჩეხვას კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მომავალ წყალსაცავთა ზონებში.

ახალი ზღვების კალაპოტის მომზადების სამუშაოები იწარმოებს ვოლგის ნაპირების გაყოლებით, ყაზანიდან სტალინგრადამდე ათასზე მეტ კილომეტრ მანძილზე. დაყრილი ადგილის რთულ პირობებში ტყისა და ბუჩქნარისაგან უნდა გაიწმინდოს რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი ფართობი. თათრეთის ასს რესპუბლიკაში, ულიანოვსკის, კუიბიშევის, სარატოვისა და სტალინგრადის ოლქებში შექმნილია 20 ახალი სატყეო-სამრეწველო მეურნეობა და ასამდე სატყეო უბანი.

ყველა სამუშაო მექანიზებულია. ამ მიზნით ფართოდ იქნება გამოყენებული მოძრავი ელექტროსადგურები ელექტროხერხთა კომპლექტით, ბუჩქსაჭრელები, ბულდოზერები, ტრაქტორები და სხვა მანქანები. მოწყობილია სპეციალური კურსები ელექტრომექანიკოსთა და მოტორისტთა მოსამზადებლად, რომლებიც მექანიზმების მომსახურებაზე იმუშავებენ.

ამჟამად მუშაობა ჩაღდება მთელ ტრასზე. (საკდესი).

წითელწყაროელი კოლმეურნეები პურის უხვ მოსავალს იღებენ. **სურათებზე** (მარცხნიდან მარჯვნივ): 1. წითელწყაროს მტს-ის კომბაინერი ი. თარაშვილი (მარცხნივ), რომელმაც ვალდებულება იკისრა წელს 360 ჰექტარი მარცვლეული აიღოს და ტრაქტორისტი თ. გოგიაშვილი მინდვრად გასვლის წინ ადგენენ მუშაობის გეგმას. 2. პურის მკა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში. ფოტო ვ. გინზბურგისა.

პარტიული ცხოვრება

როცა პასუხისმგებლობის გრძნობა მაღალია

ერთი წრის შემაჯამებელ მეცადინეობაზე

დანიშნულ დროზე შეიკრიბნენ სამეცადინო ოთახში ვაგონის მძღოლები, ზეინკლები, ხარატები, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სახელოსნოების სხვა მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები. ესენი პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის მსმენელები არიან, რომლებმაც მთელი დღე დაძაბულად იმუშავეს, ასობით მგზავრი გადაიყვანეს, დაზიანებული მანქანები შეაკეთეს, მონაწილეობა მიიღეს მოძრაობის მოწესრიგებაში და ახლა აქ შეიკრიბენ, რათა შეაჯამონ მეცადინეობის ორი წლის შედეგი, ისაუბრონ ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის საკითხებზე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. წრის ყველა მსმენელი—ვატმანი ნ. ჭელიძე, სატვირთო სამსახურის ბრიგადირი ს. ბალავაძე, მარშრუტის უფროსი გ. ბასიაშვილი, სადგურის მომწესრიგებელი ა. ჭოხონელიძე, სადგურის უფროსი ვ. გაგნიძე, ქვესადგურის მექანიკოსი გ. ბურჯანაძე და სხვები ღრმად და დამაჯერებლად განმარტავენ დაყენებულ კითხვებს, პარტიის ისტორიას კარგად უკავშირებენ თანამედროვე ამბებს, უნარიანად იყენებენ რუკებს, დიაგრამებს, გლობუსს.

პროპაგანდისტი გ. როხვაძე ნათლად, თანმიმდევრულად აყენებს საკვანძო საკითხებს.

მსმენელი დ. თავაძე ამომწურავად განმარტავს 1929 წლიდან კაპიტალისტურ ქვეყნებში დაწყებული ეკონომიური კრიზისის არსს, რამაც გამოიწვია მშრომელთა გაღატაკება და უმუშევრობა, და ადარებს ამას საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის სერიოზულ წარმატებებს, ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ გრანდიოზულ მშენებლობებს, რამაც არა მარტო საკმაოდ მოსპო უმუშევრობა, არამედ საშუალება მისცა მშრომელებს თანდათან შეძლებულად მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება.

ამხ. თავაძე ლაპარაკობს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებაზე და ახასიათებს მსოფლიოში ომის ორი კერის რაობას.

— როგორც ვიცით, — თქვა სადგურის უფროსმა ვ. გაგნიძემ, — ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები სატელიტ ქვეყნებზე დაყრდნობით გამალებით ემზადებიან ახალი მსოფლიო ომის განსაჩაღებლად. თუ მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლები ერთა ლიგიდან გამოვიდნენ, რათა საომარი მოქმედების დროს მეტი თავისუფლება ჰქონოდათ და ანგარიში არ გაეწიათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის, ახლა მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებლები გაერთიანებული ერების ალამს ეფარებიან და სისხლში ახშობენ გმირ კორეელ ხალხს, სურთ დაიმონონ კორეა და გამოიყენონ მისი ტერიტორია ჩინეთსა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პლაცდარმად. განმარტავს რა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მძლავრი მსოფლიო მოძრაობის მნიშვნელობას, ამხ. გაგნიძე ეხება ე. წ. მარშალის გეგმის არსს. მარშალის გეგმა თითქოს ომით დაზარალებული ევროპის ქვეყნებისადმი ეკონომიურ დახმარებას გულისხმობს, მაგრამ თუ როგორ „დეხმარა“ იგი ომით დანგრეულ ქვეყნებს, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით.

სტახანოველი ზეინკალი გ. ქორიძე შეჩერდა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებულ საომარ მზადებასა და ჩვენს სამშობლოში გაჩაღებულ გრანდიოზულ მშენებლობაზე. განსაკუთრებით ილაპარაკა სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობაზე ჩვენს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის დაგროვებისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. ჩვენს საწარმოში, — განაგრძობს ამხ. ქორიძე, — ყველა კომუნისტი მოწინავეა, სტახანოველები ყოველდღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებენ, მათ თავიანთ უბნებზე თავდადებული მუშაობით მნიშვნელოვანი წელილი შეაქვთ საქალაქო მეურნეობის სანიმუშოდ მოწყობის საქმეში. ჩვენი კოლექტივი რამდენჯერმე იქნა დაჯილდოებული გარდამავალი წითელი დროშით. ჩვენ მიერ გამომუშავებული ხელფასი საშუალებას გვაძლევს შეძლებულად და კულტურულად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, ბავშვებს ვასწავლოთ სკოლაში, ვასწავლოთ მუსიკა, მხატვრობა და სხვ., რაზეც ოცნებაც არ შეეძლო წინათ მუშებს ჩვენში და არ შეუძლიათ ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

პარტიის მე-18 ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანებზე ილაპარაკა ქვესადგურის მექანიკოსმა გ. ბურჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ამხანაგმა სტალინმა კომუნიზმის მშენებლობის 10-15 წლის პროგრამა დაგვისახა. მაგრამ ამ პროგრამის განხორციელება დროებით შეაჩერა ომმა, რომელიც ვერაგულად მოგვახვია თავზე ფაშისტურმა გერმანიამ. დიდმა სტალინმა, შემოქმედებითად განვითარა რა მარქსიზმი, ბრძნულად დაასაბუთა ერთ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საკითხი.

კომუნიზმის მშენებლობის უახლოესი და უფრო ხანგრძლივი პერიოდის ამოცანები ამხანაგმა სტალინმა დასახა 1946 წლის 9 თებერვალს მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. ამ ამოცანებს შემოქმედებითი შრომით ახორციელებს მთელი საბჭოთა ხალხი.

ყველა დასმულ კითხვაზე მსმენელები ამომწურავ განმარტებას იძლეოდნენ.

შემაჯამებელმა მეცადინეობამ მაღალ თეორიულ დონეზე ჩაიარა. ეს დონე პირველ რიგში მიღწეულ იქნა თვით მსმენელთა დაინტერესებით. ყველა მსმენელი ბეჯითად სწავლობდა ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, პარტიისა, რომელმაც რუსეთის მშრომელი კლასები მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე მიიყვანა, პარტიისა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა და რომლის ხელმძღვანელობითაც ჩვენი ქვეყანა აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ვ. ბერუჩაშვილი) თავიდანვე სერიოზულად მოეკიდა პარტიული სწავლების საქმეს, დაკომპლექტების დროს კარგად გაითვალისწინა მსმენელთა მომზადება და სურვილი, პროპაგანდისტებად შეარჩია პოლიტიკურად მომზადებული და საქმის მოყვარული კომუნისტები. პარტიულ კრებებზე სისტემატურად განიხილავდა პარტიული სწავლების მდგომარეობას, სახავდა კონკრეტულ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. პარტიული სწავლების უკეთესად მოწყობის საკითხებზე სისტემატურად იწვევდნენ პროპაგანდისტებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირებს.

წრეების პროპაგანდისტები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას, ბეჯითად შეამობდნენ წრეებში ჩაბმულ მსმენელთა ცოდნის განმტკიცების, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული თემის უკეთესად შეთვისების მიზნით. აწყობდნენ თემატურ ექსკურსიებს ლენინის მუზეუმში, ავლაბრის რესტავრირებულ სტამბაში და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციასთან სულ შექმნილი იყო 11 ბოლიტსკოლა და წრე, აქედან პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი და მაღალი ტიპის ექვსი წრე, ორი—ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელი, ორი — პოლიტსკოლა და ერთიც საერთო განათლების სკოლა. აღნიშნულ წრეებსა და სკოლებში გაერთიანებული იყო 312 კომუნისტი. უნდა ითქვას, რომ სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის სერიოზული მუშაობის შედეგად წრეებმა წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი. თითქმის ყველა მსმენელმა კარგად შეითვისა პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციის წინაშე მთელი სერიოზულობით დგას პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი.

მ. ვარდოსანიძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის პლენუმი

სტალინირი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მორიგმა პლენუმმა განიხილა რაიკომის ბიუროს მუშაობის ანგარიში. მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სანაკოევმა.

პლენუმმა ამხ. გ. სანაკოევი მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო გაათავისუფლა სტალინირის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. კ. თვალაშვილი და შეიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. იმნაძემ.

საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში

(რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებიდან)

მოსკოველ და ერევნელ მანქანათმშენებელთა თანამეგობრობა

ერევნის საკომპრესორო ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივები მოამარაგოს ჰიდროტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მძლავრი კომპრესორებით და სატუმბავი დანადგარებით. ერევნული კომპრესორები და სატუმბავი დანადგარები უკვე მუშაობენ სტალინგრადში, კუიბიშევში, თურქმენეთის მთავარ არხზე, კახოკაში და ჩვენი სამშობლოს მთელ რიგ სხვა დიდ მშენებლობებზე.

ერევნულ კომპრესორებზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქარხნის კომკავშირელებმა იკისრეს სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას კომპრესორების გამოშვების გასადიდებლად. მათ კოლექტიური წერილით მიმართეს მოსკოვის ქარხანა „კომპრესორის“ კოლექტივს და სთხოვეს გაეზიარებინათ მათთვის გამოცდილება.

მოსკოველებმა არ დააყოვნეს პასუხის გამოგზავნა, ერევნელ თანამოძმეებს დაწვრილებით გააცნეს თავიანთი გამოცდილება საყომპრესორო დეტალების წარმოებაში და თან სათანადო ნახაზები გამოუგზავნეს.

ამ გამოცდილების გაცნობამ ერევნელებს გაუადვილა შრომის ნაყოფიერების გადიდება, გეგმის გადამეტებით კომპრესორების საგრძნობი რაოდენობით გამოშვება.

(„კომუნისტი“. ერევანი).

პაშმინის (სვერდლოვის ოლქი) სპილენძის ელექტროსამსხმველო ქარხანა. სურათზე: სპილენძსადნობ საამქროში ზოდების დაწყობა სტელაჟებზე.
ფოტო ა. გრახოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ნავთსარეწი ზღვაში

ნაპირიდან შორს, შიგ შუა ზღვაში, „გიურგანნეფტის“ ტრესტის ყველაზე შორეულ ნავთსარეწზე ამუშავეს პირველი ღრმა ჭაბურღილი № 59, რომელიც მბურღავებმა, მიუხედავად უამინდობისა და ზღვის ხშირი ღელვისა, ნავთის მომპოვებლებს მაინც დათქმულ ვადაზე გადასცეს.

როდესაც ბურღვა დასასრულს უახლოვდებოდა, ჭაბურღილთან შეუდგნენ საექსპლოატაციო სამუშაოთა დასაწყებად საჭირო მილებისა და არმატურის მოზიდვას. ჭაბურღილის ექსპლოატაცია მიანდეს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობაში განთქმულ ოსტატს რეზვან ჰასანოვს. ჰასანოვის ბრიგადა ბურღვის დამთავრებისთანავე შეუდგა ნავთობის ამოქაჩვას. პირველ დღეს ჰასანოვის ბრიგადამ ზღვის ფსკერის დიდი სიღრმიდან გეგმის გადამეტებით 20 ტონა ნავთობი ამოიღო.

ამჟამად კასპიის ზღვაში ყველაზე შორს აღმართული ეს ჭაბურღილი დღეღამეში იძლევა 40 ტონით მეტ ნავთობს, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

(„ბაკინსკი რაბოჩი“).

„ძვის“ ჭურჭელი

ესტონეთის სსრ ადგილობრივი და ფიქალ-ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ტექნიკურმა საბჭომ შეამოწმა და დაამტკიცა მხატვრული კერამიკული ჭურჭლის ახალი ნიმუშები, რაც წარმოადგინა ტარტუს საქალაქო-სამრეწველო კომბინატმა. ეს ჭურჭელი დამზადებულია განსაკუთრებული თიხისაგან, გამოირჩევა დიდი სიმტკიცით, არ ტყდება, უძლებს მაღალ ტემპერატურას.

გარედან ჭურჭელი მოჭიქურებულია უტყვიო ჭიქურით, რაზედაც ვერ მოქმედებს [illegible] ლად გაუვალია ცხიმისათვის. ჭურჭლის განსაკუთრებული სიმტკიცის გამო მას „ძვის“ ჭურჭელი უწოდეს. კომბინატი მუშაობს 18 ასორტიმენტის ჭურჭლის (ყვავილის ვაზა, მხატვრული სურა, საფერფლე, სამზარეულო ჭურჭელი და ა. შ.) დამზადებაზე.

ასეთი ჭურჭლის დამზადებას შეუდგა აგრეთვე იეგავის სამრეწველო კომბინატი.

(„სოვეტსკაია ესტონია“).

საგინაო მშენებლობა საოლქო ცენტრებში

ლატვიის ახალ საოლქო ცენტრებში ქალაქებში ლიეპაიასა და დაუგავპილსში ფართო მასშტაბით არის გაჩაღებული მშენებლობა. შენდება საბჭოების სახლები, რომლებშიც მოთავსდებიან ხელმძღვანელი საოლქო ორგანიზაციები. ეს შენობები დამპროექტებლებმა მოიფიქრეს, როგორც დიდი არქიტექტორული ანსამბლები, რომლებიც დაამშვენებენ ორივე ქალაქს.

რესპუბლიკურ საპროექტო ინსტიტუტში დაწყებულია მუშაობა 16 დიდი საცხოვრებელი სახლის პროექტების შესადგენად. ამ სახლების აგებას წელსვე შეუდგებიან.

(„სოვეტსკაია ლატვია“).

მ. ი. კალინინის ხსოვნის მემორიალური დაფა ალმა-ატაში

ამას წინათ ქალაქ ალმა-ატაში, 8 მარტის ქუჩაზე № 17 სახლთან, გაკეთდა მ. ი. კალინინის ხსოვნის მემორიალური დაფა.

მემორიალური დაფის ნაკრისფერ მარმარილოზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია: „აქ 1935 წლის 25 ოქტომბერს ყაზახეთის სსრ ცაკის საიუბილეო სესიაზე და ყაზახეთის დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა“.

ვოლგა-ურალის სარწყავი არხის ტრასზე

დიდი საკვლევაძიებო სამუშაოებია გაჩაღებული ვოლგა-ურალის სარწყავი არხის ტრასზე.

ვოლგა-ურალის არხი, რომელშიც წყალი თვითდინებით იდენს, მორწყავს დიდ ფართობებს, რომლებიც ამჟამად უდაბნოს წარმოადგენენ. უკვე დაწყებულია არხის ჩრდილოეთით მდებარე ფართობების კომპლექსური შესწავლა წყალგანმანაწილებელი ქსელის საპროექტო მონაცემების შესაგროვებლად. სულ აქ სარწყავი ფართობი ერთ მილიონ ჰექტარს შეადგენს.

(„კაზახსტანსკაია პრავდა“).

ზოგიერთი შენიშვნა საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე

მიმდინარე წელს საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელთა გამოცდებზე გამომჟღავნდა ერთი დიდი ნაკლი, რომელიც არ შეიძლება მომავალ მუშაობაში არ გავითვალისწინოთ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდებისათვის თბილისის ქართული საშუალო სკოლების მეთერთმეტე კლასებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში საწერად მისცა სამი თემა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები“, „სოციალისტური მშენებლობის ასახვა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ და „საბჭოთა ადამიანის მორალური სახე“.

მოსალოდნელი იყო, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა დასაწერად თანამედროვე თემებს აირჩევდა, რადგან თანამედროვეობა მისთვის ყველაზე მშობლიური და მახლობელია. ეს არჩევანი სრულიად კანონზომიერი იქნებოდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელიც ცოცხლობს და სულდგმულობს თანამედროვეობით, უშუალო მოწმე და მონაწილეა კომუნიზმის დიადი მშენებლობისა. მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო.

თანამედროვეობისადმი მიძღვნილი მეორე და მესამე თემა მოსწავლეთა უმცირესობამ დაწერა. მაგალითად, თბილისის 2.137 მეთერთმეტეკლასელიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე წერითი სამუშაო შეასრულა 1.414 მოსწავლემ. ეს მაშინ, როდესაც თემა „სოციალისტური მშენებლობის ასახვა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ — დაწერა 426 მოსწავლემ, ხოლო თემა „საბჭოთა ადამიანის მორალური სახე“ — მხოლოდ 297 მოსწავლემ. თბილისის ქალთა მე-2, მე-7, 36-ე, ვაჟთა მე-15 და 37-ე საშუალო სკოლებში მეორე და მესამე თემა ერთეულებმა დაწერეს, ხოლო ქალთა 46-ე საშუალო სკოლაში მეორე თემას არავინ შეხებია. ასევე არავის არ დაუწერია მესამე თემა ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლაში. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ძლიერმა მოსწავლეებმა თანამედროვე თემებზე წერისას მარცხი განიცადეს. მაგალითად, ქალთა მე-5 საშუალო სკოლის ხუთოსანმა მოსწავლეებმა მახარაძემ, ნეფარიძემ, შარაშენიძემ, სადაღაშვილმა, ჩოხელმა, ლუარსაბოვმა და აბესალაშვილმა, რომლებმაც მეორე და მესამე თემა აირჩიეს, დაბალი შეფასება მიიღეს.

რით აიხსნება ეს არანორმალური მდგომარეობა? სად უნდა ვეძებოთ ჩვენი ზოგიერთი სკოლის ჩამორჩენისა და თანამედროვეობიდან ასე დაშორების მიზეზი? ამ საქმეში მცირე გავლენა როდი იქონია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა უხეშმა პოლიტიკურმა ჩავარდნებმა, მათი მუშაობის მანკიერმა სტილმა. როგორც საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობაზე აღინიშნა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში გაბატონებული იყო განცხრომის, უდარდელობის, თვითდამშვიდების, მუშაობის ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულების ვითარება, რაც სერიოზული ზიანი მიაყენა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს.

ის ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ასე გაურბის თანამედროვე საკითხებს, თანამედროვე თემატიკაზე წერას, ცუდად ახასიათებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაობასაც.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში გასულ წლებში ერთგვაროვან უგულებელყოფილი იყო თანამედროვე თემატიკა, განათლების სამინისტროს ამ არანორმალური მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა არ გაუკეთებია. განათლების სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებს არც სამინისტროს კოლეგიაზე და არც პრესაში ეს ამბავი მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ. პირიქით, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ვ. კუპრაძე, რომელმაც გაზეთ „სახალხო განათლების“ 1951 წლის 11 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და ამოცანები ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე“, თვითკმაყოფილებით აღნიშნავდა: „საგამოცდო თხზულებებში მოსწავლეები საკუთარ აზრს გადმოგვცემენ ლოგიკური თანმიმდევრობით, დამაჯერებლად, სწორი ლიტერატურული ენით, ფაქტიური მასალის უფრო ღრმა ცოდნით, ვიდრე ეს წინა წლებში შეინიშნებოდა.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი სკოლა გასულ წელს ძირითადად კარგად მუშობდა“.

ამ აზრს ამხ. კუპრაძე ნაწილობრივ წელსაც ავითარებს სტატიაში: „ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე“, რომელიც გაზეთ „სახალხო განათლების“ 15 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა.

თვითკმაყოფილების ამ განწყობილებამ უთუოდ იქონია უარყოფითი გავლენა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებსა და სახელმძღვანელებზე, სადაც უმნიშვნელო ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებას. მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელები ძლიერ ღარიბია სოციალისტური მშენებლობის ამსახველი ნაწარმოებებით. მართალია, თანამედროვე ქართული მწერლობა ვერ დაიკვეხნის სოციალისტური მშენებლობის თემაზე დაწერილ მაღალხარისხოვან ნაწარმოებთა სიუხვეს, მაგრამ ქრესტომათიებში ისიც არ არის შეტანილი, რაც დაწერილია.

მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესს ასახავს, არის ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და ისიც საკოლმეურნეო მშენებლობის შედარებით ადრინდელ პერიოდს ეხება. სხვა ნაწარმოებნი, გარდა რამდენიმე ლირიკული ლექსისა, სოციალისტური მშენებლობის თემაზე ქრესტომათიაში შეტანილი არ არის. ამრიგად, ხსენებული თემის დასაწერად მოსწავლეებს შეეძლოთ ქართული ლიტერატურიდან მხოლოდ ორიოდე ნაწარმოების გამოყენება. მართალია, მე-6 და მე-7 კლასში წელს პირველად ისწავლება ნაწყვეტები ალ. ჭეიშვილის „ლელოდან“ და კ. ლორთქიფანიძის „ქოლხიდის ცისკრიდან“, მაგრამ ეს ნაწარმოებნი ახლანდელ მეთერთმეტეკლასელებს სკოლაში არასოდეს არ უსწავლიათ.

მეთერთმეტე კლასის ქრესტომათიაში სოციალისტურ მშენებლობაზე დაწერილი ლექსებიდან შეტანილია ი. გრიშაშვილის „სტალინის მთა“, ალ. აბაშელის „აბრეშუმის ქარხანაში“ და „კოლხიდის კოლმეურნეს“, გ. ტაბიძის „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“ და „კოლხიდის დაბლობზე“, ალიო მირცხულავას „ბელადის სამშობლო“. ეს ლექსები უმთავრესად ლირიკული ხასიათისაა და მათში უფრო სოციალისტური მშენებლობით გამოწვეული აღტაცებაა გამოხატული. დღევანდელი დიადი მშენებლობის ამსახველი ნაწარმოებნი საშუალო სკოლის პროგრამებსა და სახელმძღვანელებში თითქმის სრულიად არ არის შეტანილი. სოციალისტური მშენებლობის თემა ისწავლება ზოგადად ან იმ ღარიბ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ზემოთ დავასახელეთ. ამრიგად, სოციალისტური მშენებლობის ასახვა ქართულ ლიტერატურაში, რაც ერთი შეხედვით თავისუფალი თემის შთაბეჭდილებას ტოვებს, ქართული სკოლების მეთერთმეტეკლასელთათვის უაღრესად შეზღუდული, პროგრამულ მასალას დაცილებული, თავმოსაყრელად მეტად ძნელი და მოსწავლეთა დიდი უმრავლესობისათვის დაუძლეველი თემა აღმოჩნდა.

ეს მაშინ, როდესაც ისტორიული ხასიათის მასალებს და კლასიკოსი მწერლების შემოქმედებას საშუალო სკოლის პროგრამებში ძლიერ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. რა თქმა უნდა, ქართული მწერლობის კლასიკოსთა შემოქმედების დიდი მოცულობით სწავლებაში ცუდი არაფერია, მაგრამ ქრესტომათიებში ისტორიული და თანამედროვე თემების განლაგების დროს ერთგვარი შეფარდება უნდა იყოს.

უდავოა, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები მეთერთმეტეკლასელთა უმრავლესობამ იმიტომ აირჩია დასაწერად, რომ ეს თემა ჩვენში უფრო ღრმად და საფუძვლიანად ისწავლება, ვიდრე „სოციალისტური მშენებლობის ასახვა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ და „საბჭოთა ადამიანის მორალური სახე“. მოსწავლეებმა, გაითვალისწინეს რა გავლილი ლიტერატურული მასალა, იგრძნეს, რომ პირველი თემა უფრო მეტ შესაძლებლობას იძლეოდა წერისათვის, ვიდრე ორი დანარჩენი თემა.

პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ისტორიული ხასიათის ლიტერატურული მასალებით გადატვირთვა და ამავე დროს თანამედროვე ლიტერატურის უგულებელყოფა, რომლის ნიშნებსაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი მშობლიური ლიტერატურის პროგრამებსა და ქრესტომათიებში ვხვდებით, ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

სწორი არ იქნებოდა მეთერთმეტეკლასელთა საგამოცდო წერითს ნამუშევრებში გამომქღავნებული ნაკლოვანებანი მთლიანად პროგრამებისა და ქრესტომათიების შემდგენელთათვის დაგვებრალებინა. გამოცდების დროს თავი იჩინა ჩვენს სკოლებში კლასგარეშე მუშაობის ცუდად დაყენებამ. როგორც ირკვევა, სკოლებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი წრეობრივი და საბიბლიოთეკო მუშაობა, მოსწავლეები ნაკლებად კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას, სკოლებში ნაკლებად ეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მოსწავლეებში წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის, მთელ რიგ სკოლებში არ სრულდება განათლების სამინისტროს მიერ კლასებისათვის დაწესებული წერითი სამუშაოები. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილი ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლებით.

ყოველივე ამას გამოცდების დროს მივყავართ ეგრეთწოდებულ „შპარგალკებამდე“. ჩვენს სკოლებში „შპარგალკების“ გავრცელების მიზეზი უწინარეს ყოვლისა აღმზრდელობითი მუშაობის ცუდად დაყენებაა. პატიოსანი შრომისადმი სიყვარულს ბავშვს პირველი კლასიდანვე უნდა ვუნერგავდეთ.

ქართული ლიტერატურის სწავლების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკაცრ მომთხოვნელობას. ზოგიერთი მასწავლებელი ივიწყებს ამ უდავო ჭეშმარიტებას და მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შეფასებისას ამკარა ლიბერალიზმს იჩენს. თბილისის ქალთა 26-ე საშუალო სკოლაში კი ამკარა ბოროტმოქმედებაც ჩაიდინეს. აქ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-11 კლასის მოსწავლეთა წერითს ნამუშევრებში გაუმართავი წინადადებების, სიტყვებისა და ასოების ამოსაშლელად საგნის მასწავლებელმა ბ. ინწკირველმა ქიმიური ხსნარი გამოიყენა. მასწავლებელთა ასეთი არასწორი მოქმედების წინააღმდეგ მკაცრად უნდა ვიმოქმედოთ.

დიდი სტალინის საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საქმეში, მართალია, გაწეულია ერთგვარი მუშაობა, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი. გამოცდებმა გვიჩვენა, რომ საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება არსებით გარდატეხას მოითხოვს. აუცილებელია ქ[illegible] ენისა და ლ[illegible]ურის [illegible]ების და სახ[illegible] დასინჯვა, მა[illegible] დროვეობის ამ[illegible] სახელი რა[illegible] [illegible]ება მეტი მასალის შეტანა.

სერიოზულ [illegible] გაუმჯობესებას მოითხოვს სკოლებ[illegible]ში წრეობრივი და კლასგარეშე მუშ[illegible]ობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების უზრუნველყ[illegible]ფას ქართული ენისა და ლიტერატურ[illegible]ის კვალიფიციური მასწავლებლ[illegible]ით.

ე. უგილავა.

ერთი მოუგვარებელი საკითხის გამო

ხშირად შეხვდებით წვერულვაშიან კაცს, რომელსაც სახელად ან „ცუგრუმელა“ ჰქვიან ან „ბიჭიკო“ (!). საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ სახელად გვხვდება „მალინა“, „რენო“, „ტოგო“ და სხვა ამგვარი.

ახლადდაბადებულთათვის სახელის დარქმევის საკითხი ჩვენში სათანადოდ არ არის მოგვარებული, რომელ მშობელსაც რა სურს და როგორც სურს, ისე არქმევს შვილს სახელს, თუმცა ხშირად ბევრ მათგანს არ ესმის, რას არქმევს ანდა რას ნიშნავს დარქმეული სახელი.

უცნაური და მახინჯი სახელები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ეს ჯგუფები შემდეგია:

უცოდინარობის შედეგად დარქმეული სახელები: „ფიგურა“, „კარტიჩკა“, „სტალიცა“, „მილორდი“, „ლედი“, „გუსარი“ და სხვ.

რელიგიური ნაშთების ჯგუფი — „ხატისა“, „ღვთისავარ“, „უფლისა“, „ნასყიდა“ და ა. შ.

სახელებად გამოყენებული გვარები (ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შეუგნებლობის შედეგად დარქმეულ სახელებთან).

სხვადასხვა სიტყვისაგან გაკეთებული სახელები: „ელმეხი“ (ე. ი. ელვა და მეხი), „ერლომი“ (ერის ლომი), „ლომერი“ (ლომი ერისა) და სხვ.

ნაწარმოები საალერსო, საშინაო სახელები: „ნაზიკო“, „ალიკო“, „რუსიკო“, „თინიკო“, „დუშიკო“, „ბიჭიკო“, „ცუგრუმელა“, „ტუგო“, „ფისუნია“, „ალიომჯა“, „ალიომკა“, „შურა“, „შურიკო“, „ვოვა“, „ვოვოჩკა“, „საშა“, „საშიკო“, „მიშა“, „მიშიკო“ და სხვა მრავალი.

განწყობილების გამომხატველი სახელები: „არველოდი“, „ველოდი“, „ნამეტი“, „ტოჩკა“ და სხვ.

უცხოელთა სახელები (ძირითადად საალერსო): „სერეჟ“, „მიშელ“, „ჟორჟ“, „ჟან“, „ჟანიკო“ და სხვ.

ცხოველებისა და მცენარეების სახელწოდებანი: „ციცარი“, „მალინა“, „ფისო“ და ა. შ. ქალაქები და ქვეყნები: „ფრანცია“, „მარსელი“, „ვენეცია“.

ამგვარად, შეიძლება ჩამოითვალოს მრავალი ისეთი უცნაური სახელი, რომელთა მოყვანა და დასახელება უხერხულიც კია. განა შეიძლება ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდას ერქვას „ხატისა“, „ღვთისავარი“, „ერიო“?, მშვენიერი შეხედულების ბრგე ვაჟკაცს — „ცუგრუმელა“ ან „ფისუნია“?

შირად ოფიციალური დოკუმენტის გაცემა ძნელდება, რადგან არსებული დოკუმენტებით ესა თუ ის მოქალაქე არის „შურა სერიოჟას ასული“ ან „მაკედონალდ გუსარის-ძე“ ან და „ელმეხი შაქროს-ძე“, „კარტიჩკა იოსების ასული“ და სხვა და სხვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ბავშვის ჩაწერის დროს ცდებიან სახელის არჩევაში, სათანადო დაწესებულებების მუშაკები უნდა დაეხმარონ მათ, აუხსნან, განუმარტონ.

სკოლას დიდი მუშაობის გაწევა შეუძლია ამ მხრივ. როდესაც სკოლაში მიჰყავთ ბავშვი, რომელსაც დამახინჯებული სახელი აქვს, მასწავლებლებმა მაშინვე უნდა მიიღონ ზომები, რჩევა მისცენ მშობლებს შეუცვალონ ბავშვს სახელი. ბავშვობაში უფრო ადვილია სახელის შეცვლა, ვიდრე შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვობაში შერქმეული მახინჯი სახელი გაჰყვება ამა თუ იმ მოქალაქეს დაბადების მოწმობით, ატესტატით და სხვა დოკუმენტებით ჭაბუკობამდე. ჭაბუკობის დროს ახალგაზრდას აღარ სურს „ალიოშკას“ ან „სერიოჟკას“ რომ ეძახდნენ, და დოკუმენტებს აფორმებს „ალექსის“ ან „ალექსანდრეს“ სახელზე, რაც შემდეგ მთელ რიგ გაუგებრობას ქმნის.

ამასთან ახალგაზრდები ცდილობენ გადაირქვან მახინჯი სახელები, ბევრი მშობელი გრძნობს მის მიერ ჩადენილ შეცდომას და ასწორებს მას. საჭიროა ადგილებზე სათანადო ორგანოები ყოველმხრივ დაეხმარონ ამ მშობლებსა და ახალგაზრდებს, უფრო მოქნილად იმუშაონ ამ მხრივ. ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საბჭოთა სინამდვილისათვის მისაღები სახელების სია, რომელიც საუბალებას მისცემს მშობლებს აირჩიონ შვილისათვის შესაფერი სახელი.

ჩვენ უნდა ვურჩოთ ყველა მათ, ვისაც დღემდე კიდევ არ გამოუსწორებია თავისი შეცდომა, გადადგას პრაქტიკული ნაბიჯი ამ მხრივ.

საბჭოთა მოქალაქისათვის სახელის შერჩევა უბრალო საქმე რიდია. ყოველი მოქალაქე, ყოველი მშობელი, ჩვენი საზოგადოებრიობა უნდა დაინტერესდეს ამ საქმით.

რასაკვირველია, მშობელს უფლება აქვს სურვილისაბერ დარქვას შვილს სახელი, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ შემდეგში, როდესაც მოქალაქე წამოიზრდება, მას თავისი სახელისა არ შერცხვეს. სახელი ლამაზად, კარგად უნდა ჟღერდეს. სახელს მოქალაქე მთელ სიცოცხლეში ატარებს, იგი მისი დამამშვენებელი უნდა იყოს. საჭიროა მივალწიოთ იმას, რომ ყველა საბჭოთა მოქალაქეს ერქვას კარგად შერჩეული სახელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები:
ნ. კეცხოველი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ჯანელიძე, კ. ერისთავი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი
გ. ძოწენიძე.

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ კორნელი კეკელიძის რედაქტორობით გამოსცა პროფესორ ა. ბარამიძის წიგნი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. წიგნში შეტანილია შემდეგი გამოკვლევები: ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთი საკითხი ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომების მიხედვით; ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში; „ვეფხისტყაოსანის“ ტიპაჟის საკითხისათვის; „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა საკითხისათვის; შენიშვნა მესხი შელექსს შესახებ; „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხები“; ნიზამი და რუსთაველი; გურგენსეული „ვეფხისტყაოსანი“; თამარიანის საკითხები; ხოსროვ შირინიანის ქართული ვერსიები; ალიშერ ნავოი ქართულ ლიტერატურაში; „ბახთიარნამეს“ ქართული ვერსიისათვის; ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეული ხელნაწერის გამო; სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები; დავით გურამიშვილი უკრანიაში; ერთი ფურცელი მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან; იოანე ბატონიშვილის ბიოგრაფიიდან; ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია; „ამირანის“ ჩეხური თარგმანის გამო.

წიგნს ბოლოში დართული აქვს კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილები.

წიგნი შეიცავს 464 გვერდს და ღირს 9 მან. და 45 კაპ.

რაგომ აფერხებენ პრამიგის ქარხნის ამუშავებას?

1945 წელს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ სოფელ ალში (ხაშურის რაიონი) დაიწყო კრამიტის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა, რაც ძირითადად 1949 წელს დამთავრდა. აქვე ქარხნის საჭიროებისათვის ააგეს ელექტროსადგური, გაიყვანეს სადგურისათვის წყლის მიმწოდებელი არხი. ყველა ამ სამუშაოს შესასრულებლად ხარჯთაღრიცხვით 400 ათას მანეთამდე დაიხარჯა. მაგრამ ქარხნის შემდგომი კეთილმოწყობა — შიგასამუშაოების დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა დღემდე ჭიანურდება.

ალის კრამიტის ქარხნის მიდამოებში არსებული თიხის ვარგისიანობა და რაოდენობა გეოლოგიური კომისიის მიერ წინასწარ იყო შემოწმებული. ქარხანას ამუშავების შემდეგ სეზონში უნდა გამოეშვა 150 ათასი ცალი ფართო კრამიტი და 60 ათასი ლიტრის ტევადობის თიხის ჭურჭელი, მაგრამ მშენებლობის გაჭიანურების გამო ამ გეგმის შესრულება ჩაშალა.

საკვირველია, რატომ დახარჯეს ალის კრამიტის ქარხნის მშენებლობაზე 400.000 მანეთი, თუ მისი ამუშავება არ ჰქონდათ გათვალისწინებული.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბანაკი ფყეარჩელელი ბავშვებისათვის

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). ოჩამჩირეში ზღვის პირას პირველი საშუალო სკოლის შენობაში გაიხსნა ტყეარჩელელ მეშახტეთა ბავშვების გამაჯანსაღებელი ბანაკი. ბავშვთა პირველი ნაკადი ბანაკმა უკვე მიიღო.

ბანაკი კარგად არის მოწყობილი. აქ წელს მეშახტეთა 500-ზე მეტი ბავშვი დაისვენებს.

ათასობით ფრინველი კოლმეურნეობებში

წითელწყაროს. (სპეც. კორ.). რაიონში ხშირია ისეთი კოლმეურნეობები, სადაც ათასობით ფრთა ფრინველი ჰყავთ. წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ 6.171 ფრთა ფრინველი მოაშენა. აქედან 406 ინდაური, 182 ბატი, დანარჩენი ქათამი.

ფრინველის სულადობის გადიდების მხრივ განსაკუთრებით ისახელა თავი სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ. ფრინველის სულადობა აქ 7.500-მდე აიყვანეს. აქედან 500 ინდაურია, 558 ბატი, დანარჩენი კი ლეგორნის ჯიშის ქათამი. საკოლმეურნეო ფერმაში (გამგე გიორგი ბოლოშვილი) წელს 600 დედალზე 40.000 კვერცხი მიიღეს. ფრინველს კარგად უვლის კოლმეურნე კ. ჭელიძე.

ჭაბაწყურის კალმახი

ბორჯომი. (საკ. კორ.). თეზე მეტია „საქთეზის“ ტაბაწყურის განყოფილების კოლექტივმა დაიწყო თევზჭერის ახალი სეზონი.

მებადურთა მარტო ორი ბრიგადა ყოველდღიურად 700-800 კილოგრამამდე თევზს, უმთავრესად კალმახს იჭერს.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუდაპეშტი, 29 ივნისი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 27 და 28 ივნისს შედგა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: მარტონ ჰორვატის მოხსენება „პარტიის საგანმანათლებლო მუშაობა მასებში“; მიხალ ფარკაშის მოხსენება „პარტიის მუშაობა ახალგაზრდობაში“.

კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მატიას რაკოშმა, ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მოიწონა ორივე მოხსენების პოლიტიკური ხაზი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-9 ტომი უნგრულ ენაზე

ბუდაპეშტი, 29 ივნისი. (საკდესი). გამომცემლობა „სიკრამ“ უნგრულ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-9 ტომი. გამოცემის ტირაჟია 100 ათასი ცალი.

შვეიცარიაში სსრ კავშირის ელჩის განცხადება

სტოკჰოლმი, 28 ივნისი. (საკდესი). ა. წ. 16 ივნისს შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ერლანდერმა სსრ კავშირის ელჩს კ. კ. როდიონოვს განცხადება გაუკეთა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის სტოკჰოლმის საელჩოს თანამშრომლებს თითქოს კავშირი ჰქონდეთ შვეიცარიის ხელისუფლების მიერ ინსცენირებულ ენბუმის „საქმესთან“, ენბუმისა, რომელსაც მიაწერენ შვეიცარიის დაცვის შესახებ საიდუმლო ცნობების გადაცემას საბჭოთა კავშირის სტოკჰოლმის საელჩოს ზოგიერთი წარმომადგენლისათვის.

28 ივნისს კ. კ. როდიონოვმა ონახულა შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ფონ დენ და შემდეგი განცხადება გაუკეთა მას:

„პასუხად პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ერლანდერის ამა წლის 16 ივნისის განცხადებისა იმ პროცესთან დაკავშირებით, რომელიც შვეიცარიის ხელისუფლებამ მოაწყვეს ვინმე ენბუმისა და სხვა შვეიდი მოქალაქეების წინააღმდეგ, საჭიროდ მიმაჩნია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით შვეიცარიის მთავრობის ყურადღება მივაქციო შემდეგს:

ბ-ნ პრემიერ-მინისტრის განცხადება, თითქოს საბჭოთა კავშირის სტოკჰოლმის საელჩოს თანამშრომლებს კავშირი ჰქონდეთ ეგრეთწოდებულ „ენბუმის საქმესთან“ და ამასთან დაკავშირებით ყოფილი სამხედრო ატაშეს ეგოროვის მოხსენიება ემყარება, როგორც ეს სავსებით აშკარაა, პროვოკატორთა ყალბ ჩვენებასა და მონაბორს, რომელნიც მიზნად ისახავენ ცილი დასწამონ შვეიცარიის საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს და გააუარესონ შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობა. თავისთავად ცხადია, რომ ამის შესახებ შეთითხნილი ენბუმისა და პოლიციის სხვა აგენტების ეგრეთწოდებული ჩვენებები არავითარი ნდობის ღირსი არ არის.

ავრეთვე უნდა აღენიშნო, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრული მიზნებს, რასაც ე. წ. „ენბუმის საქმის“ ინსცენირება ისახავს, ცხადყოფს, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ამ „საქმეს“ სასამართლოში მის გარჩევამდე დიდი ხნით ადრე შვეიცარიის პრესა იყენებს საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიაში საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ ცილისმწამებლური გამოსვლებისათვის, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ ქუჩებში გამოსვლების მოწყობისათვის.

ყველა ეს ფაქტი არ ეთანხმება ბ-ნ პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ შვეიცარიის მთავრობა „ესწრაფვის საბჭოთა კავშირთან კორექტულ და მეგობრულ ურთიერთობას“.

ზემონათქვამის გამო მე ძალებული ვარ უარვყო ბ-ნ პრემიერ-მინისტრის პროტესტი და განცხადება იმის შესახებ, რომ საჭიროა საბჭოთა მთავრობამ მიიღოს რაღაც ღონისძიებანი, რათა არ იქნას დაშვებული საელჩოს თანამშრომლების ნებადაურთველი საქმიანობა, რადგან საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთა საქმიანობა ამისათვის არავითარ საბაბს არ იძლევა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება

პარიზი, 28 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღეს გამოქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შემდეგი განცხადება:

„თუმცა ჟაკ დიუკლო უკვე მთელი თვეა საპატიმროში ზის, პინეის მთავრობას არ ძალუძს მოიყვანოს რაიმე ფაქტი, რაიმე საფუძვლიანი მოტივი დიუკლოსა და ბევრი სხვა ფრანგის დაპატიმრების გასამართლებლად, რომელთა დანაშაულია მხოლოდ ის, რომ ისინი მშვიდობისათვის იბრძოდნენ. მაგრამ მინისტრები არაოუ არ ათავისუფლებენ უკანონოდ დაპატიმრებულ მშვიდობის მომხრეებს, არამედ განზრახული აქვთ სულ უფრო გაძლიერონ თავიანთი პოლიციური პროვოკაციები. კერძოდ, მათ განკარგულება გასცეს დაპატიმრებულ იქნას უანგარო და უმწიკვლო პატრიოტი ვირეილ ბარელი, ერთერთი იმ 27-თაგან, რომლებსაც მოეძღვნა წიგნი „პატიოსნების გზა“,—პატრიოტი, რომელმაც უკვე მძიმე ტანჯვა გადიტანა და თავისი გმირი შვილი დაკარგა ხალხისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმისადმი ერთგულებისათვის. ვირეილ ბარელისა და ვარის და ზღვისპირა ალპების დეპარტამენტთა სხვა აქტივისტების დევნა იმ შეთქმულების ნაწილია, რომლის მიზანია —ფაქტების წინააღმდეგ ბრალად დადონ კომუნისტებს „სახელმწიფოს საგარეო უშიშროების ხელყოფა“.

ამრიგად, ჟაკ დიუკლო და ისინი შეუძლიათ გადასცენ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, რომელიც საჯაროდ განიხილავს საქმეებს, არამედ სამხედრო იუსტიციის მოხელეთა სასამართლოს, რომელიც ჩარიცხული არიან „ატლანტიკის“ არმიაში და, მაშასადამე, ექვემდებარებიან რიჯუეის უმაღლეს სარდლობას და, რაც მთავარია, უფლება აქვთ დახურულ სხდომაზე გაარჩიონ საქმეები. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება იმას, რომ დევნილი ფრანგი აქტივისტები ხელში ჩაუდგნენ რეპრესიების სულისჩამდგმელს, ამერიკელ გენერალ რიჯუეის.

ამ გეგმის განხორციელება გზას გაუხსნიდა ყველა იმ ფრანგის დევნას საზღვარგარეთიდან მოღებული ბრძანებით, ვისთვისაც ძვირფასია თავისი ქვეყნის სუვერენიტეტი, თავისი კერის ბედნიერება და მშვიდობა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია კატეგორიულად უარყოფს პოლიციისა და პრესის ზოგიერთი ორგანოს მონაბორს, ვითომ ორგანიზაციების შენობებში რაღაც დოკუმენტები იპოვნეს. საფრანგეთის კომუნისტური პარტია აღნიშნავს, რომ პარტიის შენობებში ამასწინანდელი ჩხრეკის დროს პოლიცია დაამაყოფილდა კრებულების, მოხსენებების, გამოკვლევებისა და სხვა სავსებით ლეგალური დოკუმენტების მოპარვით. მართალია, [illegible] ეტყდ[illegible]ცული კანონით გათვალისწინებული [illegible]ნი გარანტიებ[illegible] [illegible] [illegible] [

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხუთი წლისთავი

ვილჰელმ პიკისა და ოტო გროტეოლის მისასალმებელი დეპეშები

ბერლინი, 29 ივნისი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ 30 ივნისს სრულდება გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დაარსების ხუთი წლისთავი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა საზოგადოების თავმჯდომარეს ფრიდრიხ გბერტს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

„გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, — ნათქვამია დეპეშაში,—ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთსა და დასავლეთში ორ მილიონზე მეტი პატრიოტის ძლიერი ორგანიზაცია გახდა. იგი წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის მებრძოლთა დიდ ძალას, ურომლისოდაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ გერმანელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

გერმანელი ხალხისა და დიდი სოციალისტური საბჭოთა კავშირის ხალხების მტკიცე, ხანგრძლივი და ურღვევი მეგობრობა მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიის მოპოვებისა და შენარჩუნების უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობა და ევროპაში მშვიდობის მტკიცე საძირკველია. ამის ყველაზე დამაჯერებელი და მკაფიო დამადასტურებელი საბჭოთა გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობრის დიდი სტალინის ინიციატივით მოგვცა საბჭოთა მთავრობამ თავისი დიდსულოვანი წინადადებით გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ამ საბჭოთა პოლიტიკას უპირისპირდება დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკა. სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ დახმარებით მათ სურთ გერმანელი ხალხი ჩააყენონ მონურ დამოკიდებულებაში და ჩაითრიონ იგი ახალი ომის მზადებაში. ამიტომ ისინი ურცხვად ეწევიან ანტისაბჭოთა ცილისწამებას, რაც დღეს ისეთსავე სამხედრო პროვოკაციას წარმოადგენს, როგორიც წარსულში იყო. გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება თავისი მტკიცე ბრძოლით ანტისაბჭოთა ცილისწამების წინააღმდეგ გერმანელ ხალხს, ჩვენი სამშობლოს მომავალსა და მშვიდობას ფასდაუდებელ სამსახურს უწევს“.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობისადმი მისასალმებელ დეპეშაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი აღნიშნავს, რომ საზოგადოების მოღვაწეობა ხელს უწყობს გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. „ეს მეგობრული ურთიერთობა რომ არ ყოფილიყო, — ნათქვამია დეპეშაში, — შესაძლებელი არ იქნებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არც ეკონომიური და არც კულტურული აღმავლობა, არც გერმანელი ხალხის დიდი ეროვნული ამოცანების გადაჭრა—ჩვენი სამშობლოს ერთიანობის აღდგენა და საზავო ხელშეკრულების დადება.

...თუ დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ დგას მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის დიდ ბანაკში, რომელსაც სოციალისტური საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს, ამაში უკანასკნელ როლს როდი ასრულებს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება“.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ლონდონს გამგზავრების გამო

კოპენჰაგენი, 29 ივნისი. (საკდესი). დანიის პრესის ცნობებით, იმასთან დაკავშირებით, რომ დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ოლე ბიერკრაფტი უეცრად გაემგზავრა ლონდონს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან აჩესონთან სათათბიროდ, ვარაუდობენ, რომ დანიის მინისტრი აჩესონთან განიხილავს საკითხს დანიაში ამერიკელებისათვის სამხედრო ბაზების მიცემის შესახებ. ცნობილია, რომ დანიისა და ნორვეგიის ტერიტორიაზე ამერიკის ჯარების განლაგების საკითხი განიხილებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს ლისაბონის თათბირზე ამა წლის დამდეგს და უკანასკნელ დროს ამერიკულმა პრესამ კვლავ აღძრა ეს საკითხი.

გაზეთ „ბერლინგ დიდენდეს“ სიტყვით, „დანიიდან გამგზავრების წინ კრაფტმა განაცხადა, რომ აჩესონთან თათბირის დროს, სხვათა შორის, განხილულ იქნება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტში დანიის მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. ეჭვი არ არის, რომ ამ თათბირზე მთავარი ყურადღება მიექცევა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის პრობლემებს...

გაზეთმა „ბ. ტ.“ გუშინ გამოაქვეყნა იუნაიტედ პრესის საგენტოს დეპეშა ლონდონიდან, სადაც ნათქვამია, რომ კრაფტის თათბირს აჩესონთან საადუმლო ხასიათი აქვს. „ლონდონის კარგად ინფორმირებულ წრეებში აღნიშნავენ,— ნათქვამია შემდეგ დეპეშაში, — რომ დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირი თავის ამერიკელ კოლეგასთან შეეხება დანიაში სამხედრო-საჰაერო ბაზების საკითხს“.

გაზეთი „ქენმინქიბაო“ ამერიკელთა მიერ მდინარე იალუძიანის ელექტროსადგურის დაბომბვის შესახებ

პეკინი, 28 ივნისი. (საკდესი). მოწინავე სტატიაში სათაურით „ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა მდინარე იალუძიანის ელექტროსადგურის დაბომბვისათვის“ გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ წერს:

ჩინეთსა და კორეას შორის სასაზღვრო მდინარე იალუძიანზე მდებარე სუიხეს ელექტროსადგური ბარბაროსულად დაბომბეს ამერიკის თვითმფრინავებმა. ამ მორიგი საზარელი პროვოკაციის მიზანია დაზავების შესახებ მოლაპარაკების ჩაშლა, იგი აგრეთვე მიმართულია აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის წინააღმდეგ. ეს არის ამერიკელი ინტერვენტების კიდევ ერთი დიდი დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ.

ამერიკელი აგრესორები, განაგრძობს გაზეთი, ისეთი მდაბალი და საზიზღარი საშუალებით, როგორიც არის დაბომბვა მდინარე იალუძიანზე ელექტროსადგურისა, რომელიც სამხედრო ობიექტს არ წარმოადგენს, და „სამხედრო ზეგავლენის“ თავიანთი უკვე დიდი ხნის წინათ გაკრებული პოლიტიკით ცდილობენ დააშინონ კორეელი და ჩინელი ხალხები და მიაღწიონ იმას, რის მიღწევაც მათ არ შეუძლიათ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში. მაგრამ ყველამ იცის, რომ მაკარტურის „საშობაო შეტევა“, რიჯუეის „ზაფხულის შეტევა“ და „შემოდგომის შეტევა“ კორეელი და ჩინელი ხალხების ძლიერი დარტყმებით სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

აჭიანურებენ და ფუშავენ რა მოლაპარაკებას დაზავების შესახებ, ამერიკელმა ინტერვენტებმა ამავე დროს სასტიკად დაბომბეს ელექტროსადგური მდინარე იალუძიანზე. ეს მოწმობს მათს განზრახვას გააფართოონ ომი კორეაში, აგრეთვე საფრთხე შეუქმნან მშვიდობას აზიასა და მთელ მსოფლიოში.

ამერიკელ იმპერიალისტებს, წერს დასასრულ გაზეთი, აკისრიათ მთელი პასუხისმგებლობა ამ უმაგალითო დანაშაულის სერიოზული შედეგებისათვის.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 28 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 28 ივნისს გამოაცხადა:

გუშინ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს წინანდელ ზღუდეებზე.

კორანფოხოს, ჩხოლვონისა და კიმხვის რაიონებში მოწინააღმდეგის ქვეგანაყოფები ავიაციისა და არტილერიის დახმარებით რამდენიმე მიმართულებით ცდილობდნენ იერიში მოეტანათ ჩვენს პოზიციებზე. მოწინააღმდეგის იერიშები მოგერიებულ იქნა. მან უკან დაიხია და მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით დაკარგა 110-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

დღეს ჩვენმა საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის დასახლებულ რაიონებზე თავდასხმებში.

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 29 ივნისს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე დასავლეთის ფრონტზე იონჩხონის ჩრდილოდასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ და იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს.

მოწინააღმდეგემ ტანკებისა და ავიაციის დახმარებით რამდენჯერმე მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს ყველა იერიში. ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა 510 გვამი.

ჩვენმა საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის დასახლებული პუნქტების ბარბაროსულ დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 29 ივნისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტის მიერ 28 ივნისს კესონდან გამოგზავნილ ცნობაში ნათქვამია:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგაციის უფროსმა მეკავშირე ოფიცერმა დღეს ნაშუადღევის ორ საათზე ამერიკელებს გადასცა ნოტა. ნოტაში ნათქვამია:

მიუხედავად ჩვენი მტკიცე პროტესტებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა სურვილისა, რომლებიც მოითხოვენ რაც შეიძლება მალე დაიდოს დროებითი ზავი კორეაში, თქვენ კვლავ ცალმხრივად განაცხადეთ მოლაპარაკების 3 დღით შეწყვეტა და ქედმაღლურად დატოვეთ სხდომა. ეს იმას მოწმობს, რომ თქვენ გადაწყვეტეთ გააჭიანუროთ მოლაპარაკება დაზავების შესახებ და განაგრძოთ სისხლისღვრა კორეაში. თქვენ უნდა იკისროთ პასუხისმგებლობა აქედან გამომდინარე მთელი შედეგებისათვის.

ნერუს განცხადება კორეის ომის შესახებ

დელი, 28 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ დღეს პარლამენტში გამოვიდა და განაცხადა, რომ „ინდოეთის მთავრობა ოდნავაც არ უჭერს მხარს კორეაში წარმოებულ საომარ ოპერაციებს. პირიქით, იგი ძლიერ მოწადინებულია, რომ ეს ოპერაციები შეწყდეს და მიღწეულ იქნას შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რაც გამოიწვევს ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის მოწესრიგებას“. „ამ საომარი ოპერაციების ყოველი შესაძლებელი გაფართოება, — ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, — საფრთხეს შეუქმნის საყოველთაო მშვიდობას“.

შემდეგ ნერუმ აღნიშნა, რომ, როგორც უკვე კარგად ცნობილია „იყო ცდა მიეღწიათ კორეაში ცეცხლის შეწყვეტასა და დაზავებასთან დაკავშირებული საკითხების დამაკმაყოფილებლად გადაჭრისათვის, და ამ მხრივ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, თუმცა ერთი თუ ორი პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება“.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ თუმცა ინდოეთი არ მონაწილეობს კორეის ომში, მაგრამ მას, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრს, არაპირდაპირ ეკისრება პასუხისმგებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბალეთით განხორციელებული ყოველი მოქმედებისათვის და განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთ მოქმედებას შეუძლია კონფლიქტის გაფართოება გამოიწვიოს.

ინდოეთის მთავრობის შეშფოთებას, განაგრძო ნერუმ, იწვევს მარტო იმის ფიქრიც კი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ომისა და მშვიდობის მომავალი შეიძლება გადაწყდეს სათანადო კონსულტაციის გაუწევლად და საბოლოო ანგარიშით შეიძლება დამოკიდებული იყოს სამხედრო სარდლობის მიერ ბრძოლის ველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რადგან სამხედრო სარდლობა, სრულიად ბუნებრივია, მეტს ფიქრობს იმ ამოცანებზე, რომლებსაც სამხედრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე. ინდოეთის მთავრობის თვალსაზრისით, თქვა დასასრულ ნერუმ, პირველ რიგში საჭიროა განხილულ იქნას საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საკითხი, ხოლო კორეაში — ცეცხლის შეწყვეტისა და დროებითი ზავის დადების შესახებ ახლანდელი მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების საკითხი.

ამერიკელთა სამხედრო ხროვის უნესლოება ინგლისში

ლონდონი, 28 ივნისი. (საკდესი). ოქსფორდის ახლოს ამერიკელთა ნიუბერის, აპერ ჰეიფორდის და ბრიზ-ნორტონის ავიაბაზებში დაბანაკებულია რამდენიმე ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ახლო მომავალში ამ ბაზებში ჩამოვა კიდევ 14 ათასი კაცი.

ადგილობრივ სასამართლოებში ბევრი საჩივარი შედის ქალიშვილებისაგან, რომლებიც ამერიკელთა დევნის მსხვერპლი გახდნენ.

ოქსფორდის ქალთა დიდი სკოლის დირექტორმა ყველა მშობელს გაუგზავნა წერილები და სთხოვა ნება არ დართონ მოსწავლეებს საღამოს საათებში ქალაქის ქუჩებში გამოსვლისა, რადგან მისთვის ცნობილია ამერიკელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა უწესოების ფაქტები.

ტაქსის ბენრმა ზოფერმა თავის მანქანაში მოხსნა კარის შიგნითა სახელური, რათა ამერიკელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ვერ შეძლონ მგზავრობისათვის ფულის გადაუხდელად წასვლა.

რამდენიმე კვირის წინათ შუაგულ ოქსფორდში ამერიკელი ჯარისკაცი შევარდა თამბაქოს კიოსკში და სცემა მოხუც გამყიდველ ქალს.

29 ივნისს თბილისში გაიხსნა მოსწავლეთა V რესპუბლიკური სპარტაკიადა. სურათზე: სპარტაკიადის მონაწილენი საზეიმო გახსნაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

მოსწავლე სპორტსმენთა გამარჯვებული გუნდები

დამთავრდა თბილისის სკოლების მოსწავლეთა მეხუთე სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფეხბურთი, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა, მძლეოსნობა და ჭადრაკი.

შეჯიბრების საერთო მაჩვენებლების მიხედვით გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლე სპორტსმენთა გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა სტალინის რაიონის, ხოლო მესამეზე—26 კომისრის რაიონის მოსწავლეთა გუნდი.

ზანმოვარჯიშეთა შეჯიბრება

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სასპორტო დარბაზში გაიმართა გორის, სტალინირისა და თელავის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშსა და ჯერობატიკაში.

კომპლექსურ ჩათვლაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა სტალინირის ტანმოვარჯიშეთა გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა გორის გუნდი. პირად პირველობაზე შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ ქალთა შორის ა. კასრაძე (სტალინირი), ხოლო ვაჟთა შორის ა. აფციაური (ცორი).

შეჯიბრებაში 43 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 6

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაეგზავნა ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 6.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: დოცენტი **ი. ზარაშენიძე** — კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა მეცნიერების განვითარების მამძრავებელი ძალაა; **პ. შენგელია** — საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშო; დოცენტი **ლ. გველესიანი** — თურქმენეთის მთავარი არხი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ვ. მახალდიანი** — ავტომობილის ძრავის მუშაობა მაღალმთიან პირობებში; **დ. კანდელაკი** — კომბინირებული კონოგადაღება; დოცენტი **ი. ციციშვილი** — ქართული სამშენებლო ტექნიკის ისტორიიდან; დოცენტი **ქ. ყავრიშვილი** — აკადემიკოსი ლევ სიმონის-ძე ბერგი; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი **კ. პაპინაშვილი** — ადგილობრივი და პერიოდული ქარები; დოცენტი **ნ. ხანანაშვილი** — მინის წარმოება საქართველოში; **მ. ერისთავი** — გავეცნოთ მშობლიურ მხარეს; **გ. ხანთაძე** — საინტერესო ხელსაწყო; ქიმიური გასართობები; მეცნიერების და ტექნიკის კალენდარი; პასუხი მკითხველთა წერილებსა და შეკითხვებზე.

...ერთვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის დიდი. თეატრის სოლისტების საგასტროლო სპექტაკლები

დღეს, 1 ივლისს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მორიგ სპექტაკლში „ტრავიატაში“ მონაწილეობს მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტი ნინა გუსელნიკოვა.

4 ივლისს მომღერალი შეასრულებს ჯილდას პარტიას ოპერა „რიგოლეტოში“.

2 ივლისს რსფსრ სახალხო არტისტისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვერა დავიდოვას მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ვერდის ოპერა „აიდა“. 5 ივლისს ვ. დავიდოვა გამოვა ბიზეს ოპერა „კარმენში“.

„მარინე“ სტალინირის სახელმწიფო თეატრში

სტალინირი. (საკ. კორ.). კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მ. ბარათაშვილის პიესა „მარინე“.

პიესა დადგა რეჟისორმა გ. პატარიძემ, მხატვრობა ეკუთვნის ტ. გაგლოევს, მუსიკა — კომპოზიტორ ნ. გუდიაშვილს.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — საფამრიკო მარკის ღირსებისათვის.

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

მეშახტის დღის შესახვედრად. თბილისის ოლქის მინდვრებზე.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — ა. მესტვირიშვილი — კადრების იდეური შეიარაღების მძლავრი კერა. საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. კომუნისტები მარცვლეული მეურნეობის გაფართოებისათვის ბრძოლაში.

ნ. ნოვიცკი — რა უშლის ხელს ახალციხეს იყოს ქვანახშირის მოწინავე რაიონი. გ. მექვაბიშვილი — ბალახი ყვავის, მაგრამ არ თიბავენ.

„პრავდის“ 30-VI მოწინავე — განვავითაროთ შინაპარტიული დემოკრატია.

მესამე გვერდი — მოკლედ მნიშვნელოვან საკითხზე (მკითხველთა წერილების მიხედვით).

უცხოეთის ინფორმაციები.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს რესპუბლიკური ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი 1952-53 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორზე.

ტექნიკუმი ამზადებს არასრული საშუალო სკოლისათვის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებსა და თვითმოქმედი ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზატორებს. სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-30 წლის ასაკამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, არიან ფიზიკურად ჯანმრთელნი და წარმატებით ჩააბარებენ შესასვლელ გამოცდებს.

განცხადებების მიღება წარმოებს 20 აგვისტომდე. განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) განათლების მოწმობა (დედანი), გ) დაბადების მოწმობა, დ) სამი ცალი ფოტოსურათი, ე) ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის), ვ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ზ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-25 აგვისტომდე.

სწავლის ფრიადოსნები ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ, დანარჩენები აბარებენ შემოსასვლელ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), ბ) რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), გ) მათემატიკაში (წერა, ზეპირი), დ) სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

ყველა შემომსვლელი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა ფიზიკურ მომზადებაში „მშთ“ პირველი საფეხურის ფარგლებში.

ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილ იქნება უფასო სპორტანსაცმლით.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის კანცელარიაში ყოველდღე 9-17 საათამდე.

მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6 (ლენინის სახელობის სტადიონი), ტელეფონი № 3-39-22.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სამეანო სკოლა აცხადებს მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის. სკოლა ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს.

სკოლაში მიიღებიან 14-30 წლის მდედრობითი სქესის მოქალაქენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა.

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სკოლას აქვს ქართული და რუსული სექტორები.

განცხადების მიღება იწარმოებს 10 აგვისტომდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. 3 ცალი ფოტოსურათი (შემოწმებული), 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 3. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), 4. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი). ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. სამეანო სკოლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება. ფრიადოსნები უმაღლეს სასწავლებელში მიიღებიან უგამოცდოდ.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირადღისა, დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე. მისამართი: მელიქიშვილის ქ. № 9, ტელეფონი № 3-16-53.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტზე (საკომპოზიტორო, თეორიული, ისტორიული, ხალხური მუსიკალური შემოქმედების და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებები), 2. საფორტეპიანო ფაკულტეტზე, 3. ვოკალურ ფაკულტეტზე, 4. საორკესტრო ფაკულტეტზე (სიმებიანი, სასუნი და დასარტყმელი ინსტრუმენტების განყოფილებები).

კონსერვატორიაში მიიღებიან სსრ კავშირის 17 წლიდან 35 წლამდე ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, მუსიკალური მომზადება, მუსიკალური თოწლედის ან მუსიკალური სასწავლებლის სრული კურსის მოცულობით.

კონსერვატორიაში შემომსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები შემდეგ დისციპლინებში: 1. სპეციალობაში, 2. მუსიკის ელემენტარულ თეორიაში, 3. ჰარმონიაში (გარდა ჩასაბერი საკრავების და ვოკალური განყოფილებებისა), 4. სოლფეჯიოში, 5. მუსიკალურ ლიტერატურაში, 6. სსრ კავშირის ისტორიაში, 7. რუსულ ენასა და ლიტერატურაში, 8. ქართულ ენაში.

განცხადებები მიიღება 20 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას კონსერვატორიის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) სრული საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), დ) სამი ფოტოსურათი: (ზომით 3×4 სანტიმ.), ე) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ვ) ცნობა სახლმმართველისაგან.

ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის სასწავლო ნაწილის სამდივნოში ყოველდღე. კონსერვატორიის მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8, ტელეფონი № 3-86-44.

ი. ი. ნიკოლაძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მხატვრებს. სასწავლებელს აქვს ორი განყოფილება: ფერწერისა და ქანდაკების. სწავლება ორივე სპეციალობაზე 5-წლიანია.

პირველ კურსზე მიიღებიან 14-30 წლის ასაკის ორივე სქესის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა და რომლებიც გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ საგნებში: ფერწერის განყოფილებაზე—ხატვაში, ფერწერაში, კომპოზიციაში, ქანდაკების განყოფილებაზე—დამატებით ქანდაკებაში.

ზოგადი განათლების საგნებში: ქართული ენა (წერა და ზეპირი), რუსული ენა (წერა და ზეპირი), არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუცია.

ის პირნი, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა ფრიადზე დაამთავრეს, თავისუფლდებიან ზოგადი განათლების საგნების ჩაბარებისაგან.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1952 წლის 15 აგვისტოს. სასწავლებელში შემსვლელმა უნდა შეიტანოს განცხადება სასწავლებლის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია (საკუთარი ხელით დაწერილი), ჯანმრთელობის მოწმობა, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების მოწმობა, სამი შემოწმებული ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ).

განცხადებები მიიღება 1952 წლის 5 აგვისტომდე. განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, სასწავლებლის შენობაში—ქუჩიშვილის ქ. 9, ტელეფონი № 3-03-93. რაიონიდან განცხადება და საბუთები უნდა გამოიგზავნოს ფასიანი პაკეტით, სასწავლებლის მისამართით

ეკონომია დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად: ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი 1, ტროპიკოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი 1, ინფექციურ სნეულებათა კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი 1, ჰიგიენის კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი 1, სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი 1, ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ასისტენტი 1.

საჭირო საბუთები განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციაში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 12).

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

2 ივლისს

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

06.25 — სიმღერები მოსკოვზე; 07.30—საოპერეტა მუსიკის კონცერტი; 09.20 — ლიტვური, ლატვიური და ესტონური სიმღერები და საცეკვაოები; 11.10 — სულხან ცინცაძის სუიტა ვიოლონჩელისათვის; 17.15 — ტუსკიის და მშველიძის სიმფონიური ნაწარმოებები; 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 19.20 — კამერული მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — კონსულტაცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარების დასახმარებლად: „საბჭოთა ვაჭრობა და მისი როლი სოციალისტურ მეურნეობაში“; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა: ბ. პოლევოის მოთხრობა „წიწილა“; 22.50 — ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტი; 00.05 — სცენები როსინისა და დონიცეტის ოპერებიდან.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (ნ. გუსელნიკოვას მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის** — სანაპიროზე; **გრიბოედოვის სახელობის** — ღ